ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 8
8 ივნისი 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში (სტუდენტური თვითმართველობის კვოტით) ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის - „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება“ - სტუდენტების წერილის განხილვა პროგრამების სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: პროფ. თ. გაგოშიძე.
ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
<u>ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან:</u> ასოც./პროფ.-ები: შ. აბზიანიძე, მ. მელიქიშვილი, ლ. სურმანიძე, თ. აბაშიძე, ა.ქიტიაშვილი, მ. მესტვირიშვილი, ლ. არუთინოვი.
ასისტ./პროფ.-ები: მ.დესპოტაშვილი, ი.ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი, შ. მამუკაძე, ლ. ჩხიკვიშვილი, ი. აფთარაშვილი.
<u>განათლების დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ქ. ჭკუასელი,
ასოც./პროფ. ი. პეტრიაშვილი,
ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.
<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>
ბ.დადეშქელიანი, ნ. ალიბეგაშვილი, თ. ბუაჩიძე, მ. ტაბატაძე.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 21 წევრი.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას პირველი საკითხის განხილვისას ესწრებოდა სამაგისტრო პროგრამის - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ - სტუდენტი: ლევან ჩიტაძე და პროფესორი ნ. ბელქანია.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დააყენა მდივნის არჩევის საკითხი ფაკულტეტის საბჭოს მდივნის, ეკატერინე ფირცხალავას არყოფნის გამო. ხათუნა მარწყვიშვილი დასახელდა მდივნად და ეყარა კენჭი. საბჭომ ერთხმად მიიღო სხდომის მდივნის კანდიდატურა.

განიხილეს:

1. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის 2 წარმომადგენელის ახალი წევრებით ჩანაცვლება. კერძოდ, ჩანაცვლდნენ სტუდენტები: მარიამ ტაბატაძე - საბა კიკვიძის ნაცვლად და თამარ ბუაჩიძე ბექა ხვედელიანის ნაცვლად.

კენჭი უყარეს:
პროფ. თ. გაგოშიძემ საბოლოოდ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრი სტუდენტების ახალიწევრებით ჩანაცვლების საკითხი.

მომხრე: 19

თავი შეიკავა: 0

წინააღმდეგი: 0

2. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ შემოტანილი წერილი სამაგისტრო პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი გამოტანილი იყო ფაკულტეტის წინა საბჭოზე და მაშინ საბჭომ არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო არ მისცა ხმა აღნიშნული პროგრამის გადატანას.

თამარ გაგოშიძემ საბჭოს გააცნო რექტორთან 6 ივნისის შეხვედრის შინაარსი და დეტალები: სტუდენტების წარმომადგენლებთან ადმინისტრაციისა და რექტორის შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები არსებული ვითარების დასარეგულირებლად. რექტორი გაეცნო ყველა მხარის მოსაზრებებს და გადაწყვეტის ვარიანტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ წარმოადგინა მოსაზრება

პროგრამის მოდულებად დაყოფის შესახებ, რასაც გუგული მაღრაძე არ ეთანხმება. იყო საუბარი მთლიანი პროგრამის გადატანაზე, რასაც ქ-ნი გუგული მაღრაძე უჭერს მხარს, რადგან არ უნდა პროგრამის გაყოფა. მისი თქმით, შინაარსის თვალსაზრისით პროგრამაში ნაკლებადაა წარმოდგენილი ფსიქოლოგიური სალექციო კურსები - მხოლოდ ერთი საგანი იკითხება.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროგრამის გადატანის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირებისა და ფუნქციონიერებისათვის თსუ მოიძიებს შტატებს. რექტორმა ბრძანა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ყველა მხარისათვის მისაღები იქნება - გადავიდეს პროგრამა და ადმინისტრაცია გამონახავს მისი შტატებით უზრუნველყოფის საშუალებას. ქ-მა თ. გაგოშიძემ საბჭოს მიმართა, რომ ემსჯელა მოცემულ წინადადებაზე.

გაიმართა დისკუსია.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქეთევან ჭკუასელი: ეს არ არის ცუდი წინადადება, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ზოგადსაუნივერსიტეტო ინტერესზეც. ყველა სტუდენტი 2014 წელს გადმოყვანილ იქნა ახალ ფაკულტეტზე; ხვალ რომ ამ სტუდენტებმა გვითხრან, ჩვენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩავაბარეთ და ისევ უკან გვინდაო, რას გავაკეთებთ? უნდა დავფიქრდეთ და ყოველი მხრიდან შევხედოთ საკითხს.

ასოც. პროფ. თ. აბაშიძე: გამოდის, რომ სტუდენტების მოთხოვნაა, დიპლომში ჩაიწეროს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ეს არის მათი ძირითადი მოტივაცია. ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მართლაც საფრთხილოა, რადგან თუ დავუშვით ასეთი პრეცენდენტი, არ მგონია, რომ ეს თსუ-სთვის მომავალში დადებითი შედეგებს მოიტანს.

ასოც. პროფ. შ. აბზიანიძე: შინაარსობრივადაც ეს პროგრამა ნაკლებად ფსიქოლოგიურია და მაინც შეიძლება შეექმნას პრობლემები აკრედიტაციის დროს ჩვენ ფაკულტეტზე. ამ თვალსაზრისით ხარისხის მართვას სწორი კომენტარები აქვს - ან უნდა გაძლიერდეს ფსიქოლოგიური მხარე და იყოს 2 მოდული, ან უმჯობესია, რომ პროგრამამ იფუნქციონიროს სოც.და პოლიტ. მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

პროფ. თ. გაგოშიძე: ქ-ნმა გუგულიმ ცალსახად მითხრა, რომ პროგრამას არ გაყოფს და ურჩევნია მთლიანი პროგრამით გადასვლა. მე ეს შეხვედრაზეც მოვახსენე ადმინისტრაციას და სტუდენტებს.

ასოც.პროფ. ა. ქიტიაშვილი: ჩვენ უნდა ვიფიქროთ სტუდენტების კონტინგენტის რაოდენობაზეც. ჩემთვის სტუდენტების არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელია, თუმცა ისინი კატეგორიულად იცავენ თავის პოზიციას.

სტუდენტმა ლევან ჩიტაძემ საბჭოს მოახსენა სტუდენტების მოთხოვნები და არგუმენტები.

ასისტ. პროფესორი მედეა დესპოტაშვილი: მე მაინტერესებს - ყველა სტუდენტია თანახმა გადასვლაზე? მერე სხვებმა არ თქვან, ჩვენ არ გვინდოდაო. ესეც უნდა გავითვალისწინოთ.

სტუდენტი ლევან ჩიტაძე: კონფლიქტების მართვისა და ანალიზის სამაგისტრო პროგრამის ყველა სტუდენტის სურვილია გადასვლა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და როგორც ვიცი, სადოქტოროსიც.

ასისტ. პროფ. ლ. ჩხიკვიშვილი: მაინტერესებს - პროგრამა რომ გადავა, ვინც ამ მიმართულებაზე ვართ, ჩვენც მოგვიწევს გადასვლა? მე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში ვარჩევ დარჩენას, რადგან ფსიქოლოგი ვარ და სხვა კურსებსაც ვკითხულობ.

კენჭი უყარეს:

დისკუსიის შემდეგ პროფ. თ. გაგოშიძემ საბოლოოდ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: გადავიდეს სამაგისტრო და საფოქტორო პროგრამები - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ - შტატების გარეშე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

მომხრე: საბჭოს 14 წევრი

თავი შეიკავა: 4 წევრმა

წინააღმდეგი: 3 წევრი

3. სამაგისტრო პროგრამის - „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ - სტუდენტების წერილების განხილვა.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ქ-ნმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს გააცნო სტუდენტების წერილი.

დადგა საკითხი სტუდენტების საბჭოზე დაშვებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, კენჭი ეყარა საკითხს.

სტუდენტების დაშვებაზე თანხმობა განაცხადა საბჭოს 4 წევრმა.

წინააღმდეგი - 14

თავი შეიკავა - 1

საბჭოს 2 წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - არც ერთ წინადადებაზე არ ასწია ხელი.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს წევრებს გააცნო რექტორის მოადგილის, ბ-ნი სოსო სალუქვაძის წერილი და პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ნოდარ ბელქანიას პასუხი რექტორის მოადგილის წერილზე. ასევე, დეკანის მ/შ-მა, ქ-ნმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს გააცნო რექტორის წერილი განათლებისა და ფსიქოლოგის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიმართ საკითხზე რეაგირების მოხდენის თხოვნით.

აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე დეკანმა დამატებით ამობეჭდა და საბჭოს გააცნო მისი და პროგრამის ხელმძღვანელის მიმოწერა.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, ემსჯელათ საკითხის გარშემო.

გაიმართა დისკუსია საბჭოს წევრებსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ნ. ბელქანიამ აღნიშნა, რომ მისი პროგრამები ინტერდისციპლინურია და ნაკლებად ფსიქოლოგიურია. ამიტომ უფრო ადეკვატურია ამ პროგრამების სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განვითარება. აღნიშნული პროგრამები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამტკიცდა და სოციალური მეცენირებების სივრცეს იყო მორგებული. პროგრამაში 8-მდე მოწვეული უცხოელი სპეციალისტია, რომელთა ანაზღაურებაც ძალიან გაუჭირდება ფაკულტეტს. მან ასევე აღნიშნა, რომ ის, როგორც ფსიქოლოგი, შეძლებს თავისი კურსები ისევ შესთავაზოს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს.

პროფესორმა ქ. ჭკუასელმა, ასოცირებულმა პროფესორებმა ბ. პეტრიაშვილმა, ა. ქიტიაშვილმა, თ. აბაშიძემ, შ. აბზიანიძემ, ლ. სურმანიძემ, ასისტენტ პროფესორებმა: შ. მამუკაძემ გამოთქვეს მოსაზრებები.

ასოც. პროფ. ა. ქიტიაშვილი: არ არის კარგი ტენდენცია უნივერსიტეტისათვის პროგრამების ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადატანა ასე ზედიზედ. ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი - აკრედიტაციის, ხარისხის მინიჭების, ეს არ არის მარტო შტატების საკითხი. გასათვალისწინებელია ერთბაშად ამდენი სტუდენტის მოკლებაც, რაც ჩვენი ფაკულტეტის შემოსავალში აისახება. თუ პროგრამები არ იყო ფსიქოლოგიური, როგორღა მიიღო აკრედიტაცია?

პროფ. თ. გაგოშიძე: ნოდარ, მე მახსოვს, ერთად გავდიოდით ეროვნულ აკრედიტაციას და მაშინ აკრედიტაციის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ შენი პროგრამა ნაკლებად არის ფსიქოლოგიური სფეროსი და ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციებიც მოგცეს. არ იყო ასე?

პროფ. ნ. ბელქანია: არა, ასეთი რამ არ ყოფილა. რაღაც არასწორად გახსოვს.

ასოც. პროფ. თ. აბაშიძე: სტუდენტების მოთხოვნის არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი, თანაც ერთბაშად ორი პროგრამის წასვლა ასე უცბად, ყველა ასპექტის გათვალისწინების გარეშე, მომავალი რისკების გათვალისწინების გარეშე, არ მიმაჩნია სწორად.

პროფ. ნ. ბელქანია: როდესაც ეს ფაკულტეტი შეიქმნა, სტუდენტები არავინ გააფრთხილა გადმოყვანაზე და ფაქტიურად ინფორმირების გარეშე გადმოიყვანეს, ეს უსამართლობაა, რომელიც უნდა გასწორდეს.

ასოც. პროფ. ლ. სურმანიძე: ეს არ არის სიმართლე. ჩვენ, პროფესორები, ვიყავით ინფორმირებული ცალკე ფაკულტეტად გამოყოფის თაობაზე. ნოდარ, შეგეძლო დარჩენილიყავი იმ ფაკულტეტზე საკუთარი განცხადებით და მაშინ აღგეძრა ეს პროცესი, აქამდე უკვე გარკვეული იქნებოდა ყველაფერი. გადასვლის არგუმენტაცია სუსტია.

პროფ. ქ. ჭკუასელი: ძალიან სახიფათო ტენდენციაა, რაც არ არის კარგი უნივერსიტეტისთვის ზოგადად. მესმის ბატონი ნოდარის, შეიძლება იქ ურჩევნია პროგრამის განხორციელება, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა ვიფიქროთ ფაკულტეტზეც და უნივერსიტეტზეც, ამ მოვლენას რა მოჰყვება.

ასისტ. პროფ. შ. მამუკაძე: ყველა სტუდენტია მომხრე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადასვლის? ალბათ ყველას უნდა ჰკითხონ აზრი.

პროფ. ქ. ჭკუასელმა, ასისტ. პროფ. შ. მამუკაძემ, ზ. ქიტიაშვილმა, ი. ჟვანიამ აღნიშნეს, რომ ასე უცბად 2 პროგრამის გადატანა სხვა ფაკულტეტზე არც ჩვენი ფაკულტეტისათვის არის კარგი და არც უნივერსიტეტისათვის. ეს ორი საკითხი განსხვავდება ერთმანეთისგან და არ უნდა გაერთიანდეს. აღინიშნა, რომ მეორე საკითხის გარშემო საბჭოს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია და ამ ორი პროგრამის გადასვლის ერთ საკითხად გაერთიანება არ არის მართებული. „ორგანიზაციული განვითარებისა და კონსულტირების“ პროგრამების შემთხვევა არსობრივად განსხვავდება „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ პროგრამებთან დაკავშირებული ვითარებისგან.

პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ პროფ. ნოდარ ბელქანიას სურვილია სხვა ფაკულტეტზე გადასვლა, რადგან ის იმ ფაკულტეტზე ხედავს თავისი პროგრამის განვითარებას.

პროფ. თ. გაგოშიძე: კოლეგებო, მთავარი არგუმენტაცია ის არის, რომ ადამიანს, ჩვენ პროფესორს უნდა გადასვლა სხვა ფაკულტეტზე და თავისი პროგრამების იქ განვითარება. იქ

უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს და ვფიქრობ, უნდა მივცეთ ამის საშუალება. თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხი არ მაქვს, იქნება ეს საშტატო ერთეულის თუ სტუდენტების რაოდენობის საკითხი.

სჯობს დავაყენოთ კენჭისყრაზე პროგრამის გადასვლის საკითხი.

კენჭი უყარეს:

დეკანმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: გადავიდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შტატების გარეშე.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 10

საბჭოს ერთი წევრი გასული იყო აუდიტორიიდან და არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

პროფესორმა ნოდარ ბელქნიამ ტელეფონით გაარკვია უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელთან, რა ხდება ხმების ასეთი გადანაწილების დროს. როგორც პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ ამცნო საბჭოს, მან ურჩია თავის შეკავების არჩევანის გაუქმება და ხელახალი კენჭისყრა. შესაბამისად, საბჭოს რამოდენიმე წევრმა დააყენა საკითხი საკითხის გადადების შესახებ, რასაც მოჰყვა კვლავ საბჭოს წევრების დისკუსია.

აზრი გამოთქვეს:

ასოც.პროფესორი თ. აბაშიძე: გადავდოთ სხდომა და მომზადებულად და მშვიდად განვიხილოთ ეს საკითხი. ბატონი ნოდარის პროგრამების გადასვლის წინააღმდეგი კი არ ვართ, არამედ არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა.

პროფ. ქ. ჭკუასელი, ასისტ. პროფ. ზ. ქიტიაშვილი, ასოც. პროფ. ა. ქიტიაშვილი: ჯობს გადავდოთ სხდომა, კენჭისყრაც გვიჩვენებს, რომ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია

გადაწყვეტილების მისაღებად, ამ საკითხის ბევრი ასპექტია გასარკვევი. დაევალოს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს შტატების და კვოტების საკითხების გარკვევა.

დეკანმა საბჭოს წევრების შეთავაზების საფუძველზე, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საკითხის განხილვის გადავადების შესახებ.

მომხრე: 19

თავი შეიკავა: 1

წინააღმდეგი: 0

დადგინეს:

1. გადავიდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტის მართვა და ანალიზი" საშტატო ერთეულების გარეშე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
2. გადაიდოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის განხილვა რიგგარეშე საბჭოს სხდომაზე.
3. დაევალოს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, პროფ. თამარ გაგოშიძეს პროგრამის გადასვლასთან დაკავშირებული საშტატო ერთეულისა და სამაგისტრო პროგრამის კვოტების საკითხის გარკვევა.

სხდომის თავმჯდომარე
პროფ. თ. გაგოშიძე

სხდომის მდივანი:
ასისტ./პროფ.
ხ. მარწყვიშვილი

8.06.2015